



## ფილტრი


განვიხილოთ როგორ ფუნქციონირებს მონაცემთა ბადაში ინფორმაციის ფილტრაცია ანგარიშთა გეგმის მაგალითზე. ფილტრის ღილაკის არჩევა შესაძლებელია: 1) ინსტრუმენტების პანელზე არსებული ღილაკებიდან.




2) ეკრანზე მუსის მარჯვენა ღილაკზე დაჭერით გამოტანილ ამოცურებადი მენიუდან



3) ინსტრუმენტების მენიუდან




ფილტრის ღილაკზე დაჭერის დროს იხილავთ ეკრანს, სადაც მოცემულია ყველა ის ველი, რომელსაც შეიცავს სამუშაო არეში გააქტიურებული ეკრანი. ჩვენს შემთხვევაში ფილტრის ეკრანში მოცემულია ანგარიშთა გეგმაში არსებული ყველა ველი.




მუქად ნაჩვენებია აქტიური, ანუ ის ველები რომლებიც ჩანს ეკრანზე. ფილტრაცია შესაძლებელია განხორციელდეს როგორც აქტიური, ასევე იმ ველების მიხედვითაც, რომლებიც ეკრანზე არ ჩანს. მონაცემების გასაფილტრად უნდა მონიშნოს ის ველი ან ველები, რომლის მიხედვითაც გსურთ მონაცემების გაფილტვრა. შესაძლებელია გამოვიყენოთ როგორც, მარტივი ასევე რთული ფილტრიც. მაგალითად ანგარიშთა გეგმა გავფილტროთ ისეთი ანგარიშებით, რომლებიც იწყება 11 ან 12 -ით. ამისათვის ფილტრის ეკრანში მოვნიშნოთ ველი „ანგარიში“ მის წინ არსებულ


მოსანიშნზე მაუსის დაწკაპებით ან კლავიატურაზე Space ღილაკით . კრიტერიუმის ჩამონათვალიდან ავირჩიოთ მნიშვნელობა „ინყება „




კრიტერიუმის მომდევნო ველზე დაჭერით შეგიძლიათ ხელით მიუთითოთ სასურველი მნიშვნელობა ან ჩამოშლადი მენიუდან აირჩიოთ ანგარიში




ამ შემთხვევაში, ვინაიდან ფილტრაცია ხდება ანგარიშის მიხედვით, ჩამოშლად მენიუში იხილავთ სისტემაში არსებულ ანგარიშებს. ფილტრაცია რომ ხდებოდეს დასახელების მიხედვით აღნიშნულ ველში იხილავდით ანგარიშების დასახელებებს. ჩვენს შემთხვევაში ხელით მიუთითეთ 11. ვინაიდან ჩვენ გვსურს ორმაგი ფილტრის გამოყენება მომდევნო ველზე დაჭერით იხილავთ ჩამოშლად სიას




აირჩიეთ „ან“. მომდევნო კრიტერიუმში აირჩიეთ კვლავ მნიშვნელობა ინყება და მიუთითეთ მნიშვნელობა 12. საბოლოოდ ფილტრის ეკრანს ექნება შემდეგი სახე.




დააჭირეთ ღილაკს OK. ანგარიშთა გეგმა გაიფილტრება ჩვენს მიერ გაფილტრული მონაცემებით.





უნდა აღინიშნოს, რომ ფილტრის ეკრანში კრიტერიუმის ჩამონათვალი დამოკიდებულია იმ ველზე, რომელიც მონაწილეობს ფილტრაციაში. მაგალითად დასახელება არის სიმბოლური, ამიტომ მას შესაბამისი კრიტერიუმები აქვს.





ველი „დონე“ არის ციფრული და მას შესაბამისი კრიტერიუმები აქვს.




განვიხილოთ ღილაკები, რომლებიც ფილტრაციის ეკრანზე განლაგებული. გამოიძახეთ ფილტრის ეკრანი.


 (წავშალოთ ფილტრი)- ღილაკზე დაჭერით წაიშლება ჩვენს მიერ დაფორმირებული ფილტრი. ფილტრის გაუქმება ასევე შესაძლებელია ანგარიშთა გეგმის ეკრანზე არსებული ინსტრუმენტების პანელიდან. ამისათვის დააჭირეთ ფილტრის გასწვრივ არსებულ შავ ისარს და ჩამოშლადი მენიუდან აირჩიეთ „ წავშალოთ ფილტრი“





ან ანგარიშთა გეგმაში მაუსის მარჯვენა ღილაკით გამოტანილ ამოცურებად მენიუდან აირჩიეთ ფილტრის გასწვრივ „ წავშალოთ ფილტრი“

დავუბრუნდეთ კვლავ ფილტრის ეკრანის ღილაკებს.

 - ღილაკით შესაძლებელია მონაცემები გაიფილტროს მონიშნული უჯრის მნიშვნელობით. მაგალითად ანგარიშთა გეგმის ეკრანზე დადექით 1110 ანგარიშის დასახელებაზე.





გამოიძახეთ ფილტრის ღილაკი და გამოსულ ეკრანში დაანკაპეთ მაუსით  ღილაკზე. დაინახავთ რომ ავტომატურად დაფორმირდება ფილტრი დასახელების მიხედვით.




OK ღილაკზე დაჭერით დაინახავთ რომ ანგარიშთა გეგმა გაიფილტრება დასახელების ველში მითითებული მნიშვნელობით. წაშალოთ ფილტრი და განვიხილოთ სხვა შემთხვევებიც.

სისტემა ასევე საშუალებას იძლევა გაიფილტროს მონაცემები რამოდენიმე ველის მიხედვით. მაგალითად ანგარიშთა გეგმაში ctrl ღილაკის დახმარებით მონიშნეთ რამოდენიმე ანგარიში მაგალითად 1110, 1210, 1410





და გამოიძახეთ ფილტრის ღილაკი. ფილტრის ეკრანში დააჭირეთ ღილაკს . იხილავთ ეკრანს



როგორც ხედავთ სისტემამ ავტომატურად გაამზადა ფილტრი, შეავსო ანგარიშის ველი მონიშნული მნიშვნელობებით.


იგივე შეგიძლიათ შეასრულოთ „ინსტრუმენტების მენიუდან“ და „ამოცურებადი მენიუდან“.

იმისათვის რომ ფილტრის ეკრანში მარტივად დავინახოთ თუ რა ველების მიხედვით არის ეკრანი გაფილტრული დააჭირეთ ღილაკს . დაინახავთ, რომ ეკრანზე დარჩება მხოლოდ ფილტრში მონაწილე ველები. ჩვენს შემთხვევაში „ანგარიში“




აღნიშნულ ღილაკზე მეორედ დაჭერით, კვლავ გამოჩნდება ყველა ველი.


არის სიტუაცია, როდესაც გინვით რთული ფილტრების აწყობა და შემდეგ მისი გამოყენება მუშაობის მსვლელობაში. სისტემაში შესაძლებელია შეინახოთ თქვენს მიერ დანერგილი ფილტრი, რათა სხვადასხვა დროს მისი თავიდან ფორმირება აღარ დაგჭირდეთ. ამისათვის ფილტრის ეკრანში გამოიძახეთ მენიუ „ფაილი“ და ჩამოშლადი სიიდან აირჩიეთ „შეინახოთ მონაცემთა ბაზაში“



გამოსულ ეკრანზე, ველში „ფილტრის აღწერა“ შეიტანეთ ფილტრის სახელი. მაგალითად „ჩემი ფილტრი“.




და დააჭირეთ ღილაკს „OK“. ვნახოთ როგორ შეიძლება გამოვიყენოთ შენახული ფილტრი ანგარიშთა გეგმაში. თავდაპირველად გამოვიტანოთ სრული ანგარიშთა გეგმა. ამისათვის ფილტრის ეკრანზე წაშალეთ ფილტრი და დააჭირეთ ღილაკს „OK“. ანგარიშთა გეგმის ეკრანში ინსტრუმენტების პანელზე ფილტრის ღილაკის გასწვრივ პატარა შავ ისარზე მაუსის დაჭერით ჩამოიშლება მენიუ, სადაც გამოჩნდება თქვენ მიერ შენახული ფილტრი.



აირჩიეთ „ჩემი ფილტრი“ და დაინახავთ რომ ანგარიშთა გეგმა გაიფილტრება თქვენს მიერ გაფილტრული მონაცემების მიხედვით (1110, 1210, 1410 ანგარიშებით). ფილტრის ამგვარი შენახვა გამოიყენება არა მარტო იმ შემთხვევაში, როდესაც რთულ ფილტრს წერთ და გსურთ მისი ხშირად გამოყენება, არამედ შეგიძლიათ ფილტრი შეინახოთ ფაილში, გადაიტანოთ სხვა მონაცემთა ბაზაში ან გაუზიაროთ სხვა თანამშრომელს.

გარდა ამისა ფილტრაციის ეკრანში შესაძლებელია დაგჭირდეთ ისეთი რთული ფილტრის დანერა, რომლის დროსაც კონკრეტულ ველებში შეტანილი მნიშვნელობების მიხედვით ვერ მიიღწევა სასურველი შედეგის მიღება. ამისათვის სისტემა საშუალებას გაძლევთ გამოვიყენოთ მონაცემთა ბაზის მართვის სპეციალური ენა -SQL. თუ თქვენ ფლობთ ამ ენას, შეგიძლიათ ჩართოთ SQL ენაზე ფილტრაციის წერის საშუალება და შეიტანოთ ცვლილებები სისტემის მიერ დაფორმირებულ ბრძანებაში ან თქვენ თვითონ დანეროთ თქვენთვის სასურველი SQL ბრძანება. ვნახოთ როგორ ხდება

ამ ენის გამოყენება. გამოიძახეთ ფილტრის ეკრანი, რომელიც გაფილტრულია კონკრეტული ანგარიშებით და გადადით ბარათში „SQL“



როგორც ხედავთ სისტემამ ავტომატურად დააფორმირა SQL ბრძანება. ღილაკზე-დაჭერით კი შეგიძლიათ შეიტანოთ მასში ცვლილებები ან დაწეროთ თქვენთვის სასურველი ფილტრი.

